3924-3-9-3-201803141635

N 3924
14/03/2018

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალბატონ ეკა ბესელიას

ასლი: საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/130; 01.03.2018).

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2018 წლის 13 მარტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საქართველოს კანონის პროექტი
„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს ემატება 1191^2 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება მრავალშვილიანი მშობლის დეფინიცია. კერძოდ, მრავალშვილიან მშობლად

ჩაითვლება პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები.

ამავე კანონპროექტის თანახმად, საქართველოს მთავრობას დაევალება 2018 წლის 1 ივნისამდე დადგენილებით განსაზღვროს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენისა და გაუქმების და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი, ასევე, მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესი და პირობები.

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიხედვით, კანონის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 1 ივნისი.

საქართველოს კანონის პროექტი
„საქართველოს საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი ინიციატივის მიხედვით, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ვ“ ქვეპუნქტში ტერმინი „მრავალშვილიანი“ იცვლება ტერმინით „სამი ან მეტშვილიანი“ და შესაბამისად, საგადასახადო შეღავათები გავრცელდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ სამ ან მეტშვილიან პირზე.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის წარმოდგენის დროს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმი არ უნდა იყოს შვილების ასაკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესთავაზა კომიტეტს კანონპროექტის შესაბამისი ნორმიდან შვილის 18 წლის ასაკზე მითითების ამოღება, რაც გაზიარებულ იქნა კომიტეტის მიერ.

განიხილა რა წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი, კომიტეტმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოზი არასახარბიელოა. ამდენად, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შეიმუშაოს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

უმნიშვნელოვანესია ხელი შეეწყოს და წახალისდეს მრავალშვილიანობა. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა მრავალშვილიანი ოჯახები უფრო მეტად უნდა იყვნენ დაფასებული საზოგადოებაში. უნდა შემუშავდეს მექანიზმები

ასეთი ოჯახების გაძლიერების მიზნით, მათ შორის სოციალური გარანტიების დაწესების გზით.

კომიტეტმა მიიჩნია, რომ სწორედ ამ მიზნებს ემსახურება წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა და მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ".

პატივისცემით,

სოფიო კილაძე

თავმჯდომარე

საქართველოს
პარლამენტი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ფამფ. 26

N 5097
03/04/2018

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ ეკა ბესელიას

ასლი: საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2018 წლის 20 მარტს განიხილა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/130; 01.03.2018).

კომიტეტს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნა:

წარმოდგენილი კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილება, მისი შინაარსიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეთანხმდეს საქართველოს მთავრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილი კანონპროექტების განხილვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

პატივისცემით,

პაატა კვიჟინაძე

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 7 18 00014539

07/05/2018

დასკვნა №07-3/130 კანონპროექტზე

**საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
თავმჯდომარეს, ქალბატონ ეკა ბესელიას**

**ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტს**

ქალბატონო ეკა,

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვილების შეტანის შესახებ" და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (№07-3/130, 01.03.2018) საქართველოს კანონის პროექტებთან დაკავშირებით, გიგზავნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიციას (№GOV 6 18 00014538, 07.05.2018).

დანართი: 1 გვ.

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ნათია მიქელაძე

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

07/05/2018

GOV 6 18 00014538

ფინანსთა სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი მიღებულ იქნას საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონების პროექტები „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (N7447), ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ვ" ქვეპუნქტის ცვლილების განხორციელებით არ იცვლება მისი შინაარსობრივი მხარე და აღნიშნული ნორმის შესაბამისობაში (სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტთან) მოყვანის აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს მისი მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

ავტორები:

ზახტაძე მამუკა (მინისტრი):